მოწყობილობის დანიშნულება

რგოლური სანათი განკუთვნილია სივრცის გასანათებლად ფოტო და ვიდეოგადაღების დროს.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიყენეთ მოცემული მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- დაიცავით მოწყობილობა ტენიანობის, სხვადასხვა სითხისა და სითბოს წყაროების ზემოქმედებისგან.
- მოარიდეთ მოწყობილობა ექსტრემალური ტემპერატურისა და მზის პირდაპირი სხივების ხანგრძლივ ზემოქმედებას.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა დავარდნის შემდეგ, ასევე ხილული დაზიანების არსებობის შემთხვევაში; მიმართეთ სერვის-ცენტრს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.